

არგო ანურია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

სარჩევი:

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	3
მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	4
კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	5
ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	6

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	7
2. მომზადების საფუძვლები	7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები	8
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა.....	9
5. ძირითადი საშუალებები	13
6. საინვესტიციო ქონება.....	13
7. გაცემული სესხები.....	13
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	14
9. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	15
10. მიღებული სესხები.....	15
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	15
12. ამონაგები.....	16
13. თვითღირებულება	16
14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	16
15. წმინდა საპროცენტო ხარჯი.....	16
16. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	17
17. პირობითი ვალდებულებები.....	17
18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	18
19. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა.....	17

არგო ანურია ჯგუფი

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	2021	2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	12,743,757	13,599,227
საინვესტიციო ქონება	6	22,693,687	22,769,160
არმატერიული აქტივები		12,502	-
გაცემული სესხები	7	4,602,386	2,652,001
		40,052,332	39,020,388
მიმდინარე აქტივები			
მარაგები		24,297	49,396
გაცემული სესხები	7	3,598,893	5,084,114
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	95,196	334,447
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	158,304	356,784
		3,876,690	5,824,741
სულ აქტივები		43,929,022	44,845,129
კაპიტალი და ვალდებულებები			
საწესდებო კაპიტალი		18,754,352	18,754,352
გაუნაწილებელი მოგება		17,328,160	16,815,071
სულ კაპიტალი		36,082,512	35,569,423
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	10	6,877,077	8,879,954
		6,877,077	8,879,954
მიმდინარე ვალდებულებები			
სესხები	10	818,892	351,870
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	150,541	43,882
		969,433	395,752
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		43,929,022	44,845,129

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 2 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი _____ გიორგი აბაშიძე

ფინანსური დირექტორი _____ გიორგი მურვანიძე

არგო ანურია ჯგუფი

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება


2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	2021	2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	12,743,757	13,599,227
საინვესტიციო ქონება	6	22,693,687	22,769,160
არამატერიალური აქტივები		12,502	-
გაცემული სესხები	7	4,602,386	2,652,001
		40,052,332	39,020,388
მიმდინარე აქტივები			
მარაგები		24,297	49,396
გაცემული სესხები	7	3,598,893	5,084,114
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	95,196	334,447
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	158,304	356,784
		3,876,690	5,824,741
სულ აქტივები		43,929,022	44,845,129
კაპიტალი და ვალდებულებები			
საწესდებო კაპიტალი		18,754,352	18,754,352
გაუნაწილებელი მოგება		17,328,160	16,815,071
სულ კაპიტალი		36,082,512	35,569,423
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	10	6,877,077	8,879,954
		6,877,077	8,879,954
მიმდინარე ვალდებულებები			
სესხები	10	818,892	351,870
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	150,541	43,882
		969,433	395,752
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		43,929,022	44,845,129

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 2 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი



გიორგი აბაშიძე

ფინანსური დირექტორი



გიორგი მურვანიძე

არგო ანურია ჯგუფი

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2021	2020
ამონაგები	12	3,623,750	391,521
თვითღირებულება	13	(1,696,203)	(1,480,197)
საერთო მოგება/(ზარალი)		1,927,547	(1,088,676)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	14	(636,279)	(439,965)
სხვა შემოსავალი	8	-	382,174
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		1,291,268	(1,146,467)
ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯი		(199,356)	(1,513,952)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	15	365,286	221,975
წმინდა მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან		147,179	(417,916)
წმინდა მოგება/(ზარალი)		1,604,377	(2,856,360)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სრული შემოსავალი/(ზარალი)		1,604,377	(2,856,360)

არგო ანურია ჯგუფი

კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31 დეკემბერი 2019		18,754,352	19,671,431	38,425,783
სრული ზარალი		-	(2,856,360)	(2,856,360)
31 დეკემბერი 2020		18,754,352	16,815,071	35,569,423
ოპერაციები მფლობელების				
გადაწყვეტილებით	16	-	(1,091,288)	(1,091,288)
სრული შემოსავალი		-	1,604,377	1,604,377
31 დეკემბერი 2021		18,754,352	17,328,160	36,082,512

არგო ანურია ჯგუფი

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარში)

	შენიშვნა	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		1,604,377	(2,856,360)
კორექტირებები:			
ცვითის ხარჯი	5;6	1,063,691	1,051,801
ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯი	7;8	199,356	1,513,952
საპროცენტო შემოსავალი	15	(1,017,664)	(956,248)
საპროცენტო ხარჯი	15	652,378	734,273
შემოსავალი ქონების გადასახადის შემცირებიდან	8	-	(382,174)
ზარალი ძირითადების გასვლიდან		7,463	-
წმინდა (მოგება)/ზარალი საკუროსო სხვაობიდან		(147,179)	417,916
		2,362,422	(476,840)
სამუშაო კაპიტალის ცვლილება:			
მარაგების შემცირება		25,099	1,156
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება		239,251	93,407
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)		106,659	(16,644)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		2,733,431	(398,921)
გადახდილი პროცენტები	10	(600,047)	(326,698)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		2,133,384	(725,619)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(156,050)	(202,732)
საინვესტიციო ქონების შეძენა		-	(50,000)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(12,502)	-
ძირითადი საშუალებების გასვლა		15,839	-
სესხების გაცემა		(2,250,767)	(6,418,302)
პროცენტის მიღება		7,803	222,051
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(2,395,677)	(6,448,983)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
მიღებული სესხები	10	771,725	11,935,685
მიღებული სესხების დაფარვა	10	(689,538)	(4,754,013)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		82,187	7,181,672
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)		(180,106)	7,070
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	9	356,784	290,857
საკუროსო სხვაობის ცვლილების გავლენა		(18,374)	58,857
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	9	158,304	356,784

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „არგო ანურია“ (შემდგომში კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2008 წლის 30 ივნისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ჯგუფის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. ბათუმი, თაყაიშვილის ქ., N13.

ჯგუფის ძირითადი საქმიანობა არის ქალაქ ბათუმში საბაგირო გზის საშუალებით მომხმარებლებისათვის მომსახურების მიწოდება. 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის 100% წილის მფლობელი არის შპს ანურია, ხოლო ბენეფიციარი მფლობელი არის კლიმენტი ქასრაძე.

კომპანიას ყავს 100%-იანი შვილობილი კომპანია შპს "უმრავი ქონების მართვის კომპანია", რომელიც წარმოადგენს უმოქმედოს. 2021 წელს კომპანიამ შვილობილ კომპანიას კაპიტალში შეუტანა საინვესტიციო ქონება საბალანსო ღირებულებით 18,831,848 ლარი. შვილობილი კომპანია არ ფლობს სხვა აქტივებს, ვალდებულებებს და არ გააჩნია შემოსავლები და ხარჯები. სხვაობას კომპანიის ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ ანგარიშგებას შორის წარმოადგენს შვილობილში შეტანილი საინვესტიციო ქონება, რომელიც ინდივიდუალურ ანგარიშგებაში წარდგება როგორც ინვესტიციები შვილობილში.

2. მომზადების საფუძვლები

ა) ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ჯგუფი იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არეები, რომლისთვისაც ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ჯგუფი იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ბ) შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

გ) ფუნქციონირებადი საწარმო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ჯგუფის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებელს სურვილი აქვთ, განაგრძონ საქმიანობა საქართველოში. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებისთვის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ჯგუფის საქმიანობა, მიზნები და სტრატეგია, ძირითადი რისკები და გაურკვევლობა მისი მიზნების მისაღწევად. ხელმძღვანელობამ მოამზადა ჯგუფის ფინანსური პროგნოზი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების დღიდან 12 თვის განმავლობაში, რომელშიც გაითვალისწინა მოვლენათა უარყოფითი განვითარების შესაძლო სცენარები, რომელიც გულისხმობდა უარყოფითი გავლენის ისეთი დონის გამოკვლევას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ჯგუფის ფუნქციონირების შეწყვეტა. შეფასებისას გაითვალისწინეს COVID-19 პანდემიის და რუსეთ-უკრაინის ომის გავლენის ანალიზი ჯგუფის საქმიანობაზე, ლიკვიდურობასა, და დაფინანსებაზე. ამის საფუძველზე, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ჯგუფის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან 12 თვის განმავლობაში, დაკავშირებული არ არის არსებით განუსაზღვრელობასთან.

ახალი ფასს-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა და ძალაში შევიდა 2021 წლის 1 იანვრიდან არის შემდეგი:

2021 წლის 1 იანვრის შემდეგ შევიდა ძალაში რამდენიმე ახალი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, თუმცა არცერთი მათგანი არსებით გავლენას არ ახდენს ჯგუფის 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- კოვიდ-19-თან დაკავშირებული იჯარის ხელშეკრულებებში ცვლილებები (შესწორება - ფასს 16)
- საპროცენტო განაკვეთის ზღვრის რეფორმა - IBOR „ფაზა 2“ (შესწორება - ფასს 9, ბასს 39, ფასს 7 და ფასს 16);

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე, IASB-ის (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო) მიერ გამოიცა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში და რომლებზეც ჯგუფმა გადაწყვიტა არ მიეღო ნაადრევად.

2022 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდგომი შესწორებები:

- წაგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (შესწორება - ბასს 37);
- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე (შესწორება - ბასს 16);
- ფასის სტანდარტების წლიური გაუმჯობესება 2018-2020 (შესწორება - ფასს 1, ფასს 9, ფასს 16 და ბასს 41);
- კონცეპტუალური მიდგომა (შესწორება - ფასს 3).

2023 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდგომი შესწორებები:

- სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებითი შენიშვნები (შესწორება - ბასს 1 და ფასს სამუშაო ანგარიში 2);
- სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (შესწორება - ბასს 8);
- ინდივიდუალური ოპერაციის საფუძველზე წარმოქმნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული მოგების გადასახადი (შესწორება - ბასს 12).

2020 წლის იანვარში, IASB-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 1-ში, რომელიც აზუსტებს კრიტერიუმებს ვალდებულებების კლასიფიკაციისთვის მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად. აღნიშნული ცვლილებების მიხედვით, ვალდებულების მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებად კლასიფიცირება დამოკიდებულია, მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აქვს თუ არა კომპანიას უფლება გადაავადოს ვალდებულების დაფარვა სულ მცირე 12 თვის განმავლობაში საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ.

შესწორებები ასევე აზუსტებს, რომ „ვალდებულების დაფარვა“ მოიცავს ფულადი სახსრების, საქონლის, მომსახურების ან წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემას, თუ წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემის ვალდებულება არ წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის შემადგენელი გადაცვლის პირობით, რომელიც კლასიფიცირებულია წილობრივ ინსტრუმენტად, ვალდებულების კომპონენტისგან განცალკევებით.

ცვლილებები თავდაპირველად ძალაში უნდა შესულიყო 2022 წლის 1 იანვარს და აქტიური იქნებოდა შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებში. თუმცა, 2020 წლის მაისში ბასს 1-ის ცვლილებების ამოქმედების თარიღი გადავადდა 2023 წლის პირველ იანვრამდე. ამჟამად, ჯგუფი აფასებს ცვლილებების მოსალოდნელ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე. ხელმძღვანელობის შეფასებით, ბასს 1-ში შესულ ცვლილებებს არ ექნება არსებითი გავლენა ჯგუფის ვალდებულებების კლასიფიკაციაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს ჯგუფის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

3.1 ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების სასარგებლო მომსახურების ვადები

ჯგუფი გადახედავს ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. საანგარიშგებო წლის განმავლობაში ჯგუფს არ შეუცვლია თავისი ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების სასარგებლო მომსახურების ვადები.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები (გაგრძელება)

3.2 არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი პერიოდულად აფასებს აქტივების საბალანსო ღირებულების ანაზღაურებადობას. როდესაც ფაქტები და გარემოებები მიუთითებენ აქტივების საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურებაზე, ჯგუფი აფასებს ასეთი აქტივების ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებისთვის ჯგუფი აკეთებს დაშვებებს მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

3.3 ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს ფინანსური აქტივების მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

ჯგუფის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საკრედიტო რისკი
- საპროცენტო რისკი
- უცხოური ვალუტის რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

სხვა საქმიანობებთან ერთად ჯგუფი დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილ რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს ჯგუფს მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. წინა პერიოდის შემდეგ არ მომხდარა არსებითი ცვლილება რისკების მართვისა და შეფასების მეთოდებში.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

ჯგუფის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია ჯგუფის ფინანსური უზრუნველყოფა. ჯგუფს გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები როგორიცაა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, გაცემული სესხები ფული და ფულის ეკვივალენტები. ცხრილი გვიჩვენებს ფინანსური ინსტრუმენტების ძირითად კატეგორიებს.

	2021	2020
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გაუფასურების გამოკლებით	95,196	32,355
გაცემული სესხები გაუფასურების გამოკლებით	8,201,279	7,736,115
ფული და ფულის ეკვივალენტები	158,304	356,784
სულ ფინანსური აქტივები	8,454,779	8,125,254
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	71,547	43,882
სესხები	7,695,969	9,231,824
სულ ფინანსური ვალდებულებები	7,767,516	9,275,706

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

ჯგუფს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებისთვის მოითხოვება რეალური ღირებულების განმარტება. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულებით შეფასებისათვის ჯგუფი იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასებას ჯგუფი ახდენს შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

- დონე 1: აქტიურ ბაზარზე იდენტური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით (არაკორექტირებული);

4. ფინანსური ინსტრუმენტები -რისკების მართვა (გაგრძელება)

- დონე 2: თუ ასეთი ფასი არ არსებობს, სხვა პირდაპირი ან არაპირდაპირი ემპირიული მონაცემების მიხედვით, როგორცაა ისეთი ბაზრის კოტირებული ფასი, რომელიც არ არის აქტიური იმ იდენტური ერთეულისათვის, რომელსაც სხვა მხარე ფლობს, როგორც აქტივს;
- დონე 3: არასაბაზრო მონაცემების საფუძველზე. თუ პირველ და მეორე დონეებში აღწერილი ემპირიული ფასები არ არსებობს, მაშინ ხდება შეფასების სხვა მეთოდების გამოყენება.

რეალური ღირებულების კლასიფიკაცია დონეებად დამოკიდებულია გამოყენებული ინფორმაციის დონეზე და რეალური ღირებულების გაანგარიშებაში მის მნიშვნელობაზე. დონეებს შორის გადატანა აისახება იმ პერიოდში, როდესაც ადგილი აქვს ასეთ მოვლენას. რეალური ღირებულება არის ის თანხა,

რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. ჯგუფი ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაციის საფუძველზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და სათანადო შეფასებების მეთოდების გამოყენებით. რეალური ღირებულების დასადგენად, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისთვის განსჯის გამოყენებაა საჭირო. საქართველო კვლავაც ავლენს განვითარებადი ბაზრისათვის დამახასიათებელ ნიშნებს და ეკონომიკური პირობები ისევ ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე საქმიანობის მოცულობას. საბაზრო კოტირებები შეიძლება მოძველებული იყოს, იძულებითი რეალიზაციის გარიგებებს ასახავდეს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების რეალურ ღირებულებას. ჯგუფი ყველა არსებულ საბაზრო ინფორმაციას იყენებს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რეალური ღირებულება დგინდება იდენტურ ფინანსურ ინსტრუმენტებზე პირველადი აღიარების დროს დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთსა და მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების შედარების შედეგად. საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება გამომდინარეობს ფულადი სახსრების ნაკადის ღირებულებიდან, რომელიც დისკონტირებულია ფულის ბაზრის მიმდინარე იმ საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის ფინანსური ინსტრუმენტებისათვის. ჯგუფის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება, რომელიც არის ლიკვიდური და ხასიათდება მოკლევადიანობით, უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას.

ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხების მეორე დონის მიხედვით შეფასებული რეალური ღირებულება და დაკავშირებული მხარეებიდან მიღებული სესხების მესამე დონის მიხედვით შეფასებული რეალური ღირებულება ეფუძნება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას. დისკონტირების განაკვეთი შეადგენს 7-14%, რომელიც ემთხვევა საბაზრო განაკვეთს და საბალანსო ღირებულება შეესაბამება რეალურ ღირებულებას.

გაცემული სესხების მესამე დონის მიხედვით შეფასებული რეალური ღირებულება ეფუძნება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას. დისკონტირების განაკვეთი მერყეობს 8%-დან 15%-მდე, რომელიც ემთხვევა საბაზრო განაკვეთს და საბალანსო ღირებულება შეესაბამება რეალურ ღირებულებას.

სავაჭრო მოთხოვნების და ვალდებულებების რეალური ღირებულება დაფარვის მოკლე ვადის გამო შეესაბამება მათ საბალანსო ღირებულებას. ფულისა და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით, სხვა დანარჩენი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება განსაზღვრულია მესამე დონის საფუძველზე.

კაპიტალის მართვა

ჯგუფი თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. ჯგუფის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას. ასეთი განხილვების ფარგლებში, ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ჯგუფი აბალანსებს მთლიანი კაპიტალის სტრუქტურას დივიდენდების გაცემით, აღებული სესხის თანხით კაპიტალის ზრდით და არსებული სესხების დაფარვით.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ჯგუფს ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ჯგუფს რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ჯგუფს ფინანსური მხარისთვის. ჯგუფს ხელმძღვანელობა ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას ჯგუფს

4. ფინანსური ინსტრუმენტები -რისკების მართვა (გაგრძელება)

ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას. ჯგუფს შიდა აუდიტორები დამატებით მიმოიხილავენ რისკების მართვის პოლიტიკას, პროცესებს და წარუდგენენ ჯგუფის ხელმძღვანელობას თავის მოსაზრებას. ჯგუფის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას ჯგუფი რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. ჯგუფს გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. ჯგუფი არ იყენებს არანაირ დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს სავალუტო რისკის ანალიზს.

	2021		2020	
	USD	EUR	USD	EUR
გაცემული სესხები გაუფასურების გამოკლებით	-	4,783,369	-	4,619,304
ფული და ფულის ეკვივალენტები	-	30,465	-	342,035
სულ ფინანსური აქტივები	-	4,813,834	-	4,961,339
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16,772	-	-	-
სესხები	-	7,424,244	126,552	8,857,935
სულ ფინანსური ვალდებულებები	16,772	7,424,244	126,552	8,857,935
წმინდა სავალუტო პოზიცია	(16,772)	(2,610,410)	(126,552)	(3,896,596)

მოცემული ცხრილი წარმოადგენს ჯგუფის მგრძნობელობას შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით. ცხრილი გვიჩვენებს გავლენას წმინდა მოგებაზე.

	აშშ დოლარი/ ლარი + 20%	აშშ დოლარი/ ლარი - 20%	ევრო/ლარი + 20%	ევრო/ლარი - 20%
მოგება/(ზარალი) 2021	(3,354)	3,354	(522,082)	522,082
მოგება/(ზარალი) 2020	(25,310)	25,310	(779,319)	779,319

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. ჯგუფი დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგანაც ჯგუფს გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე მიღებული სესხები. 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მიერ აღებული ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი სესხები დენომინირებულია ევროში.

ქვემოთ წარმოდგენილი მგრძნობელობის ანალიზი ჩატარდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, როგორც არაწარმოებული ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთების მიმართ არსებული რისკის საფუძველზე. ცვალეზადი განაკვეთის ვალდებულებების შეთხვევაში, ანალიზი მომზადდა იმის დაშვებით, რომ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის დაუფარავი ვალდებულების თანხა მთელი წლის განმავლობაში დაუფარავი იყო. 100 საბაზისო ერთეულის გაზრდა (100 საბაზისო ერთეული შეესაბამება 1 პროცენტთან ცვლილებას) ან შემცირება ხდება საპროცენტო განაკვეთის რისკის შიდა ანგარიშგებისას უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობისთვის და წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ საპროცენტო განაკვეთების შესაძლო ცვლილების შეფასებას, გონივრულობის ფარგლებში.

1 პროცენტთან ცვლილება განაპირობებს საპროცენტო ხარჯების ცვლილებას 75,106 ლარით (2020: 80,863).

4. ფინანსური ინსტრუმენტები -რისკების მართვა (გაგრძელება)

მგრძნობელობის ანალიზის შეზღუდვა. ზემოთ მოცემული ცხრილი ასახავს 1 ცვლადის ცვლილებას იმ დაშვებით, რომ სხვა ცვლადები დარჩება უცვლელი. რეალურად, ცვლადები ერთმანეთთან კორელაციურ კავშირშია და ერთი ცვლადის ცვლილება გავლენას ახდენს სხვა დანარჩენზე. ცვლადებს შორის ურთიერთობა არ არის წრფივი და მცირე ან დიდი ცვლილება შეიძლება არ იყოს გამოსადეგი შედეგების ექსტრაპოლაციისთვის.

მგრძნობელობის ანალიზი არ ითვალისწინებს იმ ფაქტს რომ ჯგუფს აქტივები და ვალდებულებები იმართება აქტიურად. შესაბამისად, ჯგუფს ფინანსური მდგომარეობა შეიძლება იყოს განსხვავებული საბაზრო ფაქტორების ცვლილებების დროს. ჯგუფს ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკის მიზანია გაუმკლავდეს ბაზარზე არასასურველი ცვლილების ეფექტს. საინვესტიციო ბაზრების სწრაფად ცვლილების შესაბამისად, ჯგუფს ხელმძღვანელობა ახორციელებს ინვესტიციების გაყიდვას, საინვესტიციო პორტფელის ცვლილებასა და სხვა დამცავ ქმედებებს. შედეგად, დაშვებების რეალურმა ცვლილებამ შესაძლებელია გავლენა არ მოახდინოს ჯგუფს ვალდებულებებზე. ზემოთ მოცემული მგრძნობელობის ანალიზი დამატებით შეზრუდულია იმით, რომ დაშვება არის ჰიპოტეტური პოტენციური რისკის დემონსტრაციისთვის და წარმოადგენს ჯგუფს მოსაზრებას ბაზრის შესაძლო ცვლილებაზე. რეალურად ბაზრის სამომავლო ცვლილება შეუძლებელია წინასწარ განისაზღვროს.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. ჯგუფს საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. ჯგუფის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო მოთხოვნებიდან, გაცემული სესხებიდან, ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

ჯგუფი საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძველიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდძალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობას.

	2021	2020
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გაუფასურების გამოკლებით	95,196	32,355
გაცემული სესხები გაუფასურების გამოკლებით	8,201,279	7,736,115
ფული და ფულის ეკვივალენტები გარდა ნაღდი ფულის	150,492	355,089
სულ	8,446,967	8,123,559

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არ არსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ჯგუფი ახორციელებს სისტემატურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ფინანსური ვალდებულებების კატეგორიების ლიკვიდურობის ანალიზი იმისდა მიხედვით, თუ როდის არის მოსალოდნელი მათი დაფარვა. ამ ცხრილებში წარმოდგენილი თანხები შესაძლოა არ შეესაბამებოდეს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხულ თანხებს, რადგან ქვემოთ წარმოდგენილი ინფორმაცია მოიცავს ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზს, რაც უთითებს ხელშეკრულების მიხედვით დარჩენილ მთლიან დაუდისკონტირებელ გადახდებს საპროცენტო დავალიანების ჩათვლით. იმის გათვალისწინებით, რომ ჯგუფს აქვს ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი სესხები, მომავალში გადასახდელი ფულადი ნაკადები გაანგარიშებულია საანგარიშგებო წლის ბოლოს დაფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	71,547	-	-	71,547
სესხები	1,301,555	5,027,457	4,096,699	10,425,711
სულ 2021	1,373,102	5,027,457	4,096,699	10,497,258
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	43,882	-	-	43,882
სესხები	1,025,437	6,344,004	5,618,559	12,988,000
სულ 2020	1,069,319	6,344,004	5,618,559	13,031,882

არგო ანურია ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ლარი)

5. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა- ნაგებობა	აღჭურვილობა	სხვა	სულ
31.12.2019	22,260	11,465,856	8,449,413	214,850	20,152,379
შემოსვლა	-	6,614	202,904	2,145	211,663
31.12.2020	22,260	11,472,470	8,652,317	216,995	20,364,042
შემოსვლა	-	-	66,978	89,072	156,050
გასვლა	-	-	-	(38,837)	(38,837)
31.12.2021	22,260	11,472,470	8,719,295	267,230	20,481,255
დაგრივლი ცვეთა					
31.12.2019	-	(1,479,566)	(4,214,963)	(93,958)	(5,788,487)
ცვეთა	-	(230,303)	(727,709)	(18,316)	(976,328)
31.12.2020	-	(1,709,869)	(4,942,672)	(112,274)	(6,764,815)
ცვეთა	-	(232,027)	(733,599)	(22,592)	(988,218)
გასვლა	-	-	-	15,535	15,535
31.12.2021	-	(1,941,896)	(5,676,271)	(119,331)	(7,737,498)
საბალანსო ღირებულება					
31.12.2020	22,260	9,762,601	3,709,645	104,721	13,599,227
31.12.2021	22,260	9,530,574	3,043,024	147,899	12,743,757

2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებები სრულად წარმოადგენდა ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხების უზრუნველყოფას. ჯგუფს არ შეუძლია აღნიშნული აქტივების გაყიდვა ან გამოყენება იპოთეკის საგნად გამსესხებლის თანხმობის გარეშე.

6. საინვესტიციო ქონება

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა-ნაგებობა	სულ
31.12.2019	19,507,945	3,773,643	23,281,588
შემოსვლა	50,000	-	50,000
31.12.2020	19,557,945	3,773,643	23,331,588
31.12.2021	19,557,945	3,773,643	23,331,588
დაგრივლი ცვეთა			
31.12.2019	-	(486,955)	(486,955)
ცვეთა	-	(75,473)	(75,473)
31.12.2020	-	(562,428)	(562,428)
ცვეთა	-	(75,473)	(75,473)
31.12.2021	-	(637,901)	(637,901)
საბალანსო ღირებულება			
31.12.2020	19,557,945	3,211,215	22,769,160
31.12.2021	19,557,945	3,135,742	22,693,687

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საინვესტიციო ქონება საბალანსო ღირებულებით 4,108,572 ლარი (2020: 4,184,045 ლარი) წარმოადგენდა ფინანსური ინსტიტუტებიდან აღებული სესხების უზრუნველყოფას. ჯგუფს არ შეუძლია აღნიშნული აქტივების გასხვისება სესხის გამცემის თანხმობის გარეშე. ჯგუფს არ შეუძლია აღნიშნული აქტივების გაყიდვა ან გამოყენება იპოთეკის საგნად გამსესხებლის თანხმობის გარეშე.

7. გაცემული სესხები

	2021	2020
გაცემული სესხების გრძელვადიანი ნაწილი	8,117,219	3,788,572
გაცემული სესხების მოკლევადიანი ნაწილი	3,598,893	7,263,020
საეჭვო ვალების რეზერვი	(3,514,833)	(3,315,477)
სულ	8,201,279	7,736,115

არგო ანურია ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

7. გაცემული სესხები (გაგრძელება)

სესხები გაცემულია დაკავშირებულ მხარეზე. ხელშეკრულების პირობის მიხედვით, სესხის გრძელვადიანი ნაწილი უნდა დაიფაროს 2024, 2025 წელს და 2026 წელს. ხელმძღვანელობამ განიხილა სესხის მიმღების ფინანსური მდგომარეობა, საქმიანობის შედეგები, ფულადი ნაკადების მოძრაობა COVID 19 - ის გავლენა კონტრაგენტებზე და მიიჩნევს, რომ სესხის საწყისი აღიარების შემდეგ გაიზარდა კონტრაგენტის საკრედიტო რისკი, შესაბამისად გაიზარდა ანარიცხის მოცულობა. ცხრილი გვიჩვენებს გაცემულ სესხებს საკრედიტო დონეების მიხედვით.

	გაცემული სესხები	გაუფასურების რეზერვი	წმინდა გაცემული სესხები
საკრედიტო რისკი გაიზარდა მნიშვნელოვნად	10,452,973	(3,135,891)	7,317,082
საკრედიტო რისკი არ გაზარდია მნიშვნელოვნად	1,263,139	(378,942)	884,197
სულ 2021	11,716,112	(3,514,833)	8,201,279
საკრედიტო რისკი გაიზარდა მნიშვნელოვნად	11,051,592	(3,315,477)	7,736,115
სულ 2020	11,051,592	(3,315,477)	7,736,115

ცხრილი გვიჩვენებს გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვის მოძრაობას.

	2021	2020
ბალანსი წლის დასაწყისში	(3,315,477)	(2,229,744)
მიმდინარე პერიოდის გაუფასურების ხარჯი	(199,356)	(1,508,619)
ჩამოწერა	-	422,886
31 დეკემბერი	(3,514,833)	(3,315,477)

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2021	2020
სავაჭრო მოთხოვნები	195,253	132,412
საექვო ვალების რეზერვი	(100,057)	(100,057)
წმინდა ფინანსური მოთხოვნები	95,196	32,355
წინასწარ გადახდილი გადასახადები	-	302,092
სულ	95,196	334,447

ცხრილი გვიჩვენებს სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის ანარიცხს.

		2021		2020	
გადაგადილება	განაკვეთი	მოთხოვნა	რეზერვი	მოთხოვნა	რეზერვი
მიმდინარე:	0%	94,545	-	-	-
30 დღეზე ნაკლები	10%	225	23	850	85
31-90 დღე	20%	561	112	39,488	7,898
90 დღეზე მეტი	100%	99,922	99,922	92,074	92,074
სულ		195,253	100,057	132,412	100,057
გაუფასურების რეზერვი		(100,057)		(100,057)	
წმინდა მოთხოვნები		95,196		32,355	

ცხრილი გვიჩვენებს სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის მოძრაობას.

	2021	2020
ბალანსი წლის დასაწყისში	(100,057)	(94,724)
მიმდინარე პერიოდის გაუფასურების ხარჯი	-	(5,333)
31 დეკემბერი	(100,057)	(100,057)

ჯგუფი იყენებს გამარტივებულ მეთოდს, რათა განისაზღვროს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთები ეფუძნება ჯგუფის ბოლო სამი წლის საკრედიტო გაუფასურების გამოცდილებას. ისტორიული მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთი დაკორექტირდა არსებული და სამომავლო მაკროეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, რომელიც გავლენას ახდენს ჯგუფის მომხმარებლებზე.

არგო ანურია ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

9. ფული და ფულის ეკვივალენტები

	2021	2020
ფული ბანკში ლარში	120,027	13,054
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	30,465	342,035
ფული სალაროში	7,812	1,695
სულ	158,304	356,784

10. მიღებული სესხები

	2021	2020
დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხები	168,644	1,041,170
ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხები	6,708,433	7,838,784
სულ გრძელვანი სესხები	6,877,077	8,879,954

დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხები	103,081	104,372
ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხები*	715,811	247,498
სულ მიმდინარე სესხები	818,892	351,870

ქვემოთ მოცემული ცხირილი გვიჩვენებს სესხების რეკონსილაციას.

	2021	2020
1 იანვარი	9,231,824	6,313,735
სესხების აღება	771,725	11,935,685
მიღებული და გაცემული სესხების ურთიერთგადაფარვა	(628,403)	(6,418,302)
საპროცენტო ხარჯი	652,378	734,273
პროცენტის დაფარვა	(600,047)	(326,698)
სესხების დაფარვა	(689,538)	(4,754,013)
საკურსო სხვაობის გავლენა	(1,041,970)	1,747,144
31 დეკემბერი	7,695,969	9,231,824

ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხების ხელშეკრულებები შეიცავს ფინანსურ და არაფინანსურ შეზღუდვებს. ძირითადი ფინანსური შეზღუდვები რომელიც მოქმედებს 2021 წლის ბოლოს არსებული ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხების ვალდებულებებისთვის არის შემდეგი:

- 2021 წელს ჯამურმა სასესხო ვალდებულებებმა არ უნდა შეადგინოს ცვეთის, ამორტიზაციის და საპროცენტო ხარჯის გამოკლებამდე არსებული მოგების (EBIDA) 5.3-ზე მეტი 2022 წლიდან 4.8-ზე მეტი;
- სესხის მიმდინარეობისას შენარჩუნებული უნდა იყოს სესხის მომსახურების კოეფიციენტი (DSCR) მინიმუმ 1.2 დონეზე;

ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხების უზრუნველყოფილია შპს "უძრავი ქონების მართვის კომპანიის" 100%-იანი წილით, ჯგუფის ძირითადი საშუალებებით და საინვესტიციო ქონებით. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ განმარტებითი შენიშვნა 5 და 6. ფინანსური ინსტიტუტის სასარგებლოდ დაგირავებულია ჯგუფის საკუთრებაში არსებული და სამომავლო მთელი მოძრავი ქონება და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს აქვს აუთვისებელი საკრედიტო ლიმიტი 65,000 დოლარი.

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2021	2020
სავაჭრო ვალდებულებები	71,547	43,882
წინასწარ მიღებული იჯარის ანაზღაურება	44,861	-
საგადასახადო ვალდებულებები	34,133	-
სულ	150,541	43,882

არგო ანურია ჯგუფი**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

12. ამონაგები

	2021	2020
ამონაგები საბაგირო გზიდან	3,525,510	334,306
საიჯარო შემოსავალი	98,240	57,215
სულ	3,623,750	391,521

13. თვითღირებულება

	2021	2020
ცვეთის ხარჯი	(1,063,691)	(1,051,801)
ხელფასის ხარჯი	(395,950)	(303,352)
კომუნალური ხარჯი	(126,556)	(52,874)
მიმდინარე რემონტის ხარჯი	(70,345)	(35,560)
დაცვის ხარჯი	(39,661)	(36,610)
სულ	(1,696,203)	(1,480,197)

14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2021	2020
ხელფასის ხარჯი	(400,204)	(215,209)
ქონების გადასახადის ხარჯი	(87,759)	(86,267)
საბანკო ხარჯები	(32,747)	(17,471)
საკონსულტაციო ხარჯი	(13,934)	(35,090)
სხვა	(101,635)	(85,928)
სულ	(636,279)	(439,965)

15. წმინდა საპროცენტო ხარჯი

	2021	2020
საპროცენტო შემოსავალი	1,017,664	956,248
საპროცენტო ხარჯი	(652,378)	(734,273)
სულ	365,286	221,975

16. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

	2021	2020
ნაშთები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გაუფასურების გამოკლებით	92,459	32,281
გაცემული სესხები გაუფასურების გამოკლებით	8,201,279	7,736,115
სესხები	271,725	1,145,542
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12,000	7,200
ოპერაციები მოგება ან ზარალი		
ამონაგები ფართის გაქირავებიდან	52,119	26,707
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(4,068)	(5,113)
საპროცენტო შემოსავალი	1,009,861	952,997
საპროცენტო ხარჯი	(89,932)	(471,972)
ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯი	(199,356)	(1,508,619)
ოპერაციების კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში		
ზარალი სესხის საწყისი აღიარებიდან	(1,091,288)	-

უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შეადგენდა 123,000 ლარს (2020: 65,000 ლარი).

დაკავშირებული კომპანიები მოიცავს საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ კომპანიებს.

16. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

ოპერაციების კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში

ჯგუფს სესხი გაცემული აქვს დაკავშირებულ მხარეებზე (მშობელი საწარმოს შვილობილი). სესხის სახელშეკრულებო პერიოდი სრულდებოდა 2021 წელს. 2021 წელს მსესხებელთან შეთანხმების საფუძველზე სესხის ვადა გახანგრძლივდა 5 წლის ვადით. სესხის ძირი და პროცენტი გადასახდელია სახელშეკრულებო ვადის ბოლოს. ჯგუფმა სესხის რესტრუქტურისაცა მიიწნია, როგორც არსებული ფინანსური ინსტრუმენტის პირობების მნიშვნელოვანი ცვლილება. შესაბამისად, შეთანხმება განიხილა, როგორც თავდაპირველი ფინანსური ინსტრუმენტის დაფარვა და ახალი ფინანსური აქტივის აღიარება. ახალი სასესხო მოთხოვნა აღიარდა სამართლიანი ღირებულებით, რომელიც უტოლდება მომავალი ფულადი ნაკადების საბაზრო საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ ღირებულებას. სხვაობა სესხის აღიარების შეწყვეტასა და ხელახალ აღიარებას შორის წარმოადგენს ზარალს სესხის რესტრუქტურისაგან და შეადგენს 769,762 ლარს.

2021 წელს ჯგუფმა დაკავშირებულ მხარეებზე (მშობელი საწარმოს შვილობილი) გასცა სესხები. გაცემული სესხი აღიარდა სამართლიანი ღირებულებით, რომელიც უტოლდება მომავალი ფულადი ნაკადების საბაზრო საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ ღირებულებას. სხვაობა სესხის აღიარებას და გაცემულ თანხას შორის წარმოადგენს ზარალს სესხის საწყისი აღიარებიდან და შეადგენს 321,516 ლარს.

სესხების გაცემა და რესტრუქტურისაცა განხორციელდა ჯგუფის მფლობელის გადაწყვეტილებით. შესაბამისად, ჯგუფმა სესხის გაცემიდან და რესტრუქტურისაგან წარმოქმნილი ზარალი ჯამური თანხით 1,091,288 ლარი განიხილა, როგორც მფლობელებთან ოპერაცია და წარადგინა კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში.

17. პირობითი ვალდებულებები

სახელშეკრულებო ვალდებულებები

ჯგუფს 2009 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსგან გადაეცა მიწები და მასზე განთავსებული შენობა პირობითი ვალდებულებით და 1,000,000 აშშ დოლარის ღირებულებით. გადმოცემულ აქტებზე თვითღირებულება (1,000,000 აშშ დოლარის) გადანაწილება ხელშეკრულებაში მითითებული ნორმატიული ფასების პროპორციულად. ხელშეკრულების შესაბამისად ჯგუფი ვალდებულია უზრუნველყოფს გასართობი ცენტრის და საბაგირო გზის გამართული ფუნქციონირება გახსნიდან არანაკლებ 15 წლის განმავლობაში (2030 წლამდე).

თავდებობა და თანამსესხებლობა

ჯგუფი წარმოადგენს დაკავშირებული მხარის (მშობელი საწარმოს სხვა შვილობილი კომპანიების და სხვა მხარის) მიერ მიღებული სესხის თავდებს და თანამსესხებელს. სესხების მოცულობა, რომლისთვისაც ჯგუფი წამოადგენს თავდებს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს ჯამურად 3,256,000 ლარს, საიდანა 2,628,000 ლარი სესხის მიმღების მიერ არის ათვისებული, ხოლო 1,100,000 ლარი აუთვისებელი. ათვისებული სესხების მოცულობა, რომლისთვისაც ჯგუფი წამოადგენს თანამსესხებელს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს ჯამურად 628,000 ლარს. ჯგუფი ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებას საწყისად აღიარებს რეალური ღირებულებით. ხელმძღვანელობის შეფასებით გაცემული ფინანსური გარანტიების რეალური ღირებულება საწყისი აღიარებისას არაარსებითია და არ არის აღიარებული ფინანსურ ანგარიშგებაში.

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტი არ დაფიქსირებულა. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ დაკავშირებული მხარის მიერ ფინანსური ინსტიტუტის მიერ სასესხო ვალდებულების შეუსრულებლობის ალბათობა დაბალია და შეფასებული საკრედიტო ზარალის თანხა არ აჭარბებს საწყისი აღიარებისას შეფასებულ რეალური ღირებულების არაამორტიზებულ მოცულობას, შესაბამისად, ანარიცხი არ არის აღიარებული.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციისაგან, ჯგუფის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და ჯგუფს დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. ჯგუფს მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ ჯგუფის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2022 წლის თებერვალში რუსეთის ფედერაციამ დაიწყო საომარი მოქმედებები უკრაინის ტერიტორიაზე, რომელიც ფართომასშტაბიან ომში გადაიზარდა. ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის საომარი მდგომარეობა არ დასრულებულა. ხელმძღვანელობა ამ ეტაპზე ვერ აფასებს აღნიშნული ომის გავლენას (ან შესაძლო გავლენას) ჯგუფის საქმიანობაზე.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კომპანიამ გაყიდა შვილობილი კომპანიის შპს "უძრავი ქონების მართვის კომპანიის" 100%-იანი წილი შპს „სლბ ჯგუფზე“ 23,802,585 ლარად. ხელშეკრულების შესაბამისად ნასყიდობის თანხა სრულად უნდა ანაზღაურდეს 5 წლის განმავლობაში. შვილობილი კომპანიის გაყიდვის შედეგად ჯგუფმა დაკარგა კონტროლი საინვესტიციო ქონებაში წარდგენილ მიწებზე, რომლის ჯამური საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 18,831,896 ლარს. ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვის ხელმძღვანელობა აფასებს აღნიშნული ოპერაციის გავლენას კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

19. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. სააღრიცხვო პოლიტიკა უცვლელად არის გამოყენებული თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

19.1 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

ოპერაციებში ჯგუფი ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ჯგუფს ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად ჯგუფი იყენებს ქართულ ლარს.

ბ) უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით. 2021 და 2020 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	დოლარი	ევრო
2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.5040
2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0233

19.2 ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ჯგუფი აღიარებს ამონაგებს დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც ჯგუფი მოელის ამ საქონლის გადაცემის სანაცვლოდ. ჯგუფი იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- ამონაგების აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

ჯგუფის ამონაგების ძირითად ნაწილს წარმოადგენს მომხმარებლებისათვის ქალაქ ბათუმში საბაგირო გზით სარგებლობის მომსახურების მიწოდება. ამონაგები საბაგირო გზით სარგებლობასთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებიდან აღიარდება მაშინ, როდესაც კონტროლი მოცემულ მომსახურებაზე გადაეცემა მომხმარებელს (განხორციელდება მგზავრთა გადაყვანა). გარიგების ღირებულების გადახდა ხდება დაუყოვნებლივ, როდესაც ხდება მომხმარებლის მიერ მომსახურების შესყიდვა. საკონტრაქტო ღირებულება არის

19. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

ჯგუფმა გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

- არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და
- ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

19.3 ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებიდან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

19.4 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც ჯგუფი გამოაცხადებს დივიდენდს, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც დივიდენდის გაცემა გათავისუფლებულია მოგების გადასახადისგან. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების/ვალდებულებების აღიარება.

19.5 გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

19.6 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა.

შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში. ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ჯგუფი იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფისთვის ცვეთა აღირიცხება ინდივიდუალურად. ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობები	50
მანქანა-დანადგარები	12
ოფისის აღჭურვილობა	5-12
სხვა	5-12

19. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

19.7 საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება (მიწა ან შენობა, ან შენობის ნაწილი ან ორივე), რომელსაც ჯგუფი ფლობს საიჯარო შემოსავლების მიღების ან ღირებულების ზრდის ან ორივე მიზნით, გარდა ისეთი მიზნებისა, როგორიცაა: ა) გამოყენება საქონლის წარმოების ან მიწოდების, მომსახურების გაწევის ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; ბ) გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში.

ჯგუფი საინვესტიციო ქონებად განიხილავს მიწას, რომელსაც ამჟამად ფლობს, მაგრამ განუსაზღვრელია მისი სამომავლო გამოყენების წესი (იმ შემთხვევაში, როდესაც ჯგუფს ჯერ არ განუსაზღვრავს, გამოიყენოს თუ არა მიწა, როგორც მესაკუთრის მიერ დაკავებული ქონება ან გაყიდოს ის მიმდინარე საქმიანობის პროცესში მოკლე ვადაში, ის მიიჩნევა კაპიტალის გაზრდის მიზნით გამოყენებულ ქონებად);

ჯგუფი საინვესტიციო ქონებას საწყისი აღიარებისას აღრიცხავს თვითღირებულებით, ხოლო შემდგომ ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასსა და ნებისმიერ უშუალოდ მიკუთვნებად დანახარჯებს.

საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი საინვესტიციო ქონების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და ჩაირთვება მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

19.8 იჯარა

ჯგუფმა გადაწყვიტა მოკლევადიან იჯარასთან და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებაში გამოიყენოს გათავისუფლება. ამ იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღირიცხება ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით. სხვა სისტემატური საფუძველი იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ ეს საფუძველი უფრო ადეკვატურად ასახავს მოიჯარის მიერ სარგებლის მიღების სტრუქტურას/მოდელს. ჯგუფს არ აქვს გრძელვადიანი იჯარები. ჯგუფი საოპერაციო იჯარიდან მიღებულ საიჯარო გადახდებს აღიარებს, როგორც შემოსავალი წრფივი მეთოდით.

19.9 მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ჯგუფი გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, ჯგუფი აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზე, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

განუსაზღვრელი სასარგებლო გამოყენების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები, ან ის არამატერიალური აქტივები, რომლებიც გამოყენებისთვის ჯერ არ არის ხელმისაწვდომი, გაუფასურების გამოსავლენად მოწმდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ, და აგრეთვე მაშინ, როდესაც აქტივის გაუფასურების ნიშნები არსებობს.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი

19. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

19.10 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. მარაგები ჩამოიწერება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით.

19.11 ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ ჯგუფს მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

19.12 პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულება წარმოადგენს:

ა) შესაძლო ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად და მისი არსებობა დადასტურდება მხოლოდ ერთი ან მეტი განუსაზღვრელი მოვლენის მომავალში მოხდენით ან არმოხდენით, რომელიც მთლიანად არ ექვემდებარება საწარმოს კონტროლს; ან

ბ) მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენების შედეგად, მაგრამ აღიარებული არ არის, რადგან:

(i) მოსალოდნელი არ არის, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება საწარმოს ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა; ან

(ii) ვალდებულების თანხის საკმარისად საიმედოდ შეფასება შეუძლებელია.

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია.

19.13 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. ჯგუფის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება ჯგუფის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

19. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი

მოცემული აქტივები ძირითადად წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები), ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. ჯგუფი საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით, რომელიც აღიარებულია ხარჯად მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ჯგუფი სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

გაუფასურების რეზერვი გაცემულ სესხებზე აღიარდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელით. ჯგუფი ითვალისწინებს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას ფინანსური აქტივის საწყის აღიარებასთან შედარებით. იმ შემთხვევაში თუ ადგილი არ აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, ჯგუფი აფასებს 12 თვის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს და აღიარებს სრულ საპროცენტო შემოსავალს. საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შემთხვევაში, ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი და აღიარდება სრული საპროცენტო შემოსავალი. საკრედიტოდ გაუფასურებული სესხებისთვის ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი და აღიარდება წმინდა საპროცენტო შემოსავალი.

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, გაცემულ სესხებს და ფული და ფულის ეკვივალენტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს სალაროში არსებულ ფულს, მოთხოვნამდე დეპოზიტებს, სხვა მოკლევადიან მაღალილიკვიდურ ინვესტიციებს, რომლის დასრულების ვადაც განისაზღვრება სამი ან ნაკლები თვით.

ფინანსური ვალდებულებები

მიზნიდან გამომდინარე ჯგუფი მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს შემდეგს: ბანკებისგან მიღებულ სესხებს, სავაჭრო ვალდებულებებს და მოკლევადიან ფულად ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

ჯგუფი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ურთიერთგადაფარავს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და ჯგუფი გეგმავს ანგარიშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

19.14 საწესდებო კაპიტალი

ჯგუფის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება ჯგუფის წესდებით. ჯგუფის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც

19. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

19.15 დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება ბალანსის შემდგომ მოვლენებში.

